მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 72.12.02.039**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882024089480 - 24/01/2024 14:18:42

მომზადების თარიღი
29/01/2024 10:06:23

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
მცხეთა	გაჭესი		
72	**12**	**02**	**039**

მისამართი: ქალაქი თბილისი, გიორგი მაყაშვილის ქუჩა, N 43

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 15000.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**72.12.03.023;72.12.03.023;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: გაშენების ფართით შენობა N01- 190კვ.მ N02-474,5კვ.მ N03- 301,6კვ.მ N04-48,75კვ.მ N05- 180,09კვ.მ N06- 250კვ.მ N07- 186,08კვ.მ N08- 98კვ.მ N09 -129,32კვ.მ N10- 669,76კვ.მ N11-116,55კვ.მ N12- 390კვ.მ N13-50კვ.მ N14-3628კვ.მ N15-49კვ.მ N16-25კვ.მ N17-12კვ.მ N18-16კვ.მ N19-16კვ.მ N20-20კვ.მ N21-24კვ.მ N22-12კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023895364 , თარიღი 23/08/2023 14:56:33
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/08/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება , NM23016129 , საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სანოტარო აქტი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N101251020 , დამოწმების თარიღი:14/12/2010 ,ნოტარიუსი ნ. გინტური

მესაკუთრეები:
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" , ID ნომერი:202352514

მესაკუთრე:
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102023114900 16/03/2023 12:31:40**
  შ\პ\ს შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი ს/ნ 202352514
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება, N094860, 16.03.2023, შემოსავლების სამსახური**
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102023338949 23/07/2023 19:27:00**
  შ\პ\ს შპს სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი ს/ნ 202352514
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023807090 თარიღი 01/08/2023 13:15:12	**მოიჯარე: შპს "მუხერი"** 226164003; საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით : 2000 კვ.მ ; საბოლოო თარიღი:01/08/2026; **იჯარის ხელშეკრულება N26 , დამოწმების თარიღი04/08/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/08/2023	**იჯარის ხელშეკრულება N26, დამოწმების თარიღი04/08/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882024089480 თარიღი 24/01/2024 14:18:42	**მოიჯარე: შპს "ვუდენ არქ სტილი"** 400139836; საგანი:475 კვ.მ. ფართი; საბოლოო თარიღი:31/12/2024; **იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი24/01/2024, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/01/2024	

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოლებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70062898591724

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240876424

რეგისტრაციის თარიღი

11.07.2024 წ

ნოტარიუსი: მარეხ ჩოფიკაშვილი
მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #24გ, მე-2 სართული
ტელეფონი: +995 (32) 231.25.22, მობ.599 93 44 46

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის თერთმეტი ივლისი

მე მარებ ჩოფიკაშვილს ნოტარიუსს თბილისში , სანოტარო ბიურო მდებარე თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. # 24გ მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ავთანდილ უგრელიძემ , როგორც შ,პ,ს „ მუხური"-ს დირექტორმა ,რომელმაც განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილების მინიჭება ნიკოლოზ გოგეშვილზე ,შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება

მე შევამოწმე მისი პირადობამის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ ნამდვილად ავთანდილ უგრელიძემ (დაბ.07/01/1978წ, მცხ. მისამართის გარეშე , საქართველოს მოქალაქის პასპორტი 15BA39986, პ/11001000621 გაც. იუსტიციის სამინისტრო 19/04/2016წ) მომმართა

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება , რაც. დასტურდება ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შ.პ.ს " მუხური " ს შესახებ , მომზადების თარიღი 13/06/2024წ სახ. რეგისტრაციის თარიღი 12/06/2007წ საიდ. კოდი # 226164003)

მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა მე წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა რომ მინობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას რის შემდეგ მან ჩემი ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგ მინდობილობას

მინდობილობა

ავთანდილ უგრელიძემ , როგორც " მარწმუნებელმა " და დირექტორმა , ამ მინდობილობით ნიკოლოზ გოგეშვილს (დაბ. 15/09/1993წ , მცხ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა # 217, ბინა 30 , ელ. პირადობის მოწმობა 19ID13722 , პ/01011076175 გაც. იუსტიციის სამინისტრო 02/03/2021წ) როგორც " რწმუნებულს " მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება :

1. იყოს ჩემი როგორც შ.პ.ს „ მუხური"-ს დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქ. თბილისი მერიისა და მისადმი დაქვემდებარებულ სტრუქტურებში, მერიის ურბანული განვითარების სამსახურში , მერიის არქიტექტურის სამსახურში , მესამე პირებთან ურთიერთობაში .
2. აწარმოოს შ.პ.ს „ მუხური"-ს სამშენებლო ნებართვის აღება შ.პ.ს „ მუხური"-ს სახელით საიჯარო უძრავ ქონებაზე მდებარე თბილისი, გიორგი მაყაშვილის ქ 43, ს/კ 72/12/02/039 , მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია , მიიღოს ნებართვა , ჩემი სახელით ხელი მოაწეროს განცხადებას ან/და თანხმობას, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები , და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან .
3. რწმუნებული უფლებამოსილია ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით .
4. მინდობილობა გაცემულია 06 (ექვსი) თვის ვადით და ძალაშია 2025 წლის 11 იანვრის ჩათვლით
5. მინდობილობა შედგენილია 03 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან 01 (ერთი) ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსს მარებ ჩოფიკაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო 02 (ორი) ეგზემპარი გადაეცა მარწმუნებელს

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 30 (ოცდაათი) ლარი და რეგისტრაციის საფასური 05(ხუთი) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება 507 , 2011წლის 29 დეკემბრის " სანოტარო მოქმედებათა შესრულების სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ" და ცვლილება საქართველოს მთავრობის 2022წლის 30 მაისის # 272 დადგენილების , მე-4 თავი, 31 მუხლი 8-ე პუნქტის შესაბამისად

მარწმუნებელი ავთანდილ უგრელიძე

ნოტარიუსი მარებ ჩოფიკაშვილი

იჯარის ხელშეკრულება №26
(C-2023-0158)

ქ. თბილისი 1 აგვისტო 2023წ.

ერთის მხრივ, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიდარ ყანჩაველის სახით (შემდგომში "მეიჯარე"-დ წოდებული) და მეორეს მხრივ, შპს "მუხური", წარმოდგენილი მისი დირექტორის, ავთანდილ უბრელიძის სახით (შემდგომში "მოიჯარე"-დ წოდებული), ეხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მეიჯარე" გადასცემს, ხოლო "მოიჯარე" იჯარით იღებს ქ. მცხეთა, ხაშესი, ჯვრის ასახვევში (საკადასტრო კოდი: 72.12.02.039) მდებარე (შემდგომში "ობიექტი"-დ წოდებული) 2000 (ორიათასი) კვადრატულ მეტრ ფართს, ბეტონის ქარხნის მოსაწყობად.

1.2. "მოიჯარე" ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია "ობიექტის" მდგომარეობა, იგი არის ვარგის მდგომარეობაში და აკმაყოფილებს ტექნიკურ და სანიტარულ მოთხოვნებს.

1.3. "ობიექტი" მოიჯარეს გადაეცემა 2023 წლის 1 აგვისტოდან 2026 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.

2. საიჯარო ქირა

2.1 მხარეები შეთანხმდნენ, რომ "მოიჯარის" მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 10000 (ათიათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2.2 "მეიჯარე" "მოიჯარეს" 2 თვის პერიოდში აძლევს შეღავათს და მთლიანად ანთავისუფლებს საიჯარო ქირის გადახდისგან.

2.3 აღნიშნული თანხის გადახდა მოხდება 2023 წლის 01 ოქტომბრიდან წინასწარ ყოველი თვის 10 (ათი) რიცხვში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 "მეიჯარე" ვალდებულია 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში არ შეცვალოს (გაზარდოს) საიჯარო ქირა, ხოლო 18 თვის გასვლის შემდგომ ინფლაციის უფლებამოსილების ხელახლა გადაიხედოს იჯარის ყოველთვიური ღირებულება, რის თაობაზეც წინასწარ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე უნდა გააფრთხილოს "მოიჯარე", ხოლო მოიჯარე ვალდებულია ამ ვადის განმავლობაში აცნობოს თავისი პოზიცია "მეიჯარეს". ხსენებულ ვადაში მოიჯარის მიერ უარის დაფიქსირება გაზრდილი ქირის გადახდაზე ან/და თავისი პოზიციის შეუტყობინებლობა "მეიჯარისათვის" ავტომატურად გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას ამავე პუნქტით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადის გასვლისთანავე.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები.

3.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

- გამოიყენოს "ობიექტი" მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად;
- მოუაროს "ობიექტს" და შეინახოს არსებული სახარჯო, ტექნიკური და სანიტარული ნორმების შესაბამისად;
- "მეიჯარესთან" შეთანხმებით და საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს საჭირო სარემონტო სამუშაოები (როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური); "მოიჯარეს" არ აქვს უფლება ჩაატაროს ობიექტზე სარეკონსტრუქციო

საქართველოს ეროვნული საჯარო რეესტრის

სამუშაოები, თუ მხარეთა შორის ამის თაობაზე არ არსებობს წერილობით გაფორმებული დამატებითი შეთანხმება;

- არ გასცეს ობიექტი ქვეიჯარით "მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადამდე შეწყვეტისას დაუბრუნოს "მეიჯარეს" "ობიექტი" იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მიიღო იჯარის დასაწყისში;
- დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.2. "მოიჯარეს" უფლება აქვს:

- "მეიჯარისგან" მიღებული წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს "ობიექტზე" სარემონტო სამუშაოები (როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური) ან/და განახორციელოს მისი გაუმჯობესებანი. ამასთან სარემონტო სამუშაოებისა და გაუმჯობესების ხარჯები "მოიჯარეს" არ აუნაზღაურდება და არ ჩაეთვლება საიჯარო ქირაში;
- "მეიჯარესთან" შეთანხმებით და საკუთარი ხარჯით "ობიექტზე" დაამონტაჟოს ყველა აუცილებელი ფუნქციონალური მოწყობილობა-დანადგარი. ხოლო ამ ხელშეკრულების დამთავრებისას ან ვადამდე მოშლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მათი დემონტაჟი;
- ისარგებლოს "ობიექტთან" მისასვლელი გზებით, მთავარი შესასვლელით;
- ისარგებლოს ელექტროენერგიის, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის იმავე ქსელით, რომლითაც სარგებლობს "მეიჯარე";
- დააზღვიოს "ობიექტში" განთავსებული ქონება ნებისმიერი დანაკარგისა და ზარალისაგან;
- "მეიჯარესთან" შეთანხმებით ობიექტის შიდა და გარე კედლებზე მოათავსოს აბრები (მათ შორის სარეკლამო ინფორმაციის მქონე).
- „მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური და ელექტროენერგიის გადასახადი არსებული ტარიფებით;
-

3.3. "მეიჯარე" ვალდებულია:

- ხელი შეუწყოს "მოიჯარეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვოს ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა";
- უფლება მისცეს "მოიჯარეს" დარეგისტრირდეს ქვეაბონენტად "ENERGO PRO GEORGOA" და "GWP"-ში.
- დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

3.4 "მეიჯარეს" უფლება აქვს:

- აუცილებლობის შემთხვევაში, იჯარით გაცემულ "ობიექტზე", მოახდინოს ტექნიკური მოწყობილობების შეკეთება და შეასრულოს სხვა სახის სამუშაოები;
- ნებისმიერ დროს შეიძლეს იჯარით გაცემულ "ობიექტში" მისი მდგომარეობისა და საიჯარო პირობების შესრულების შესამოწმებლად;
- მოითხოვოს "მოიჯარის" ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული უფლებები.

4. პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში "მეიჯარე"-ს უფლება აქვს დააკისროს "მოიჯარეს" პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0.1 %. ასეთი უფლებით "მეიჯარემ" შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2023 წლის 1 აგვისტოდან 2026 წლის 1 აგვისტო ჩათვლით.

5.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება იყიდე ან ურთიერთ მისაღები შეცვლილი პირობებით.

5.3. თუ მხარეები არ შეთანხმდებიან წერილობითი ფორმით ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული იჯარის უფლება ავტომატურად უქმდება, ხოლო მოიჯარე ვალდებული იქნება დაფაროს დავალიანება (თუკი ასეთი არსებობს) და დაცალოს საიჯარო "ობიექტი". იგივე წესი იმოქმედებს, თუკი წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ვადამდე ამაყე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით.

6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1 "მეიჯარეს" შეუძლია ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ "მოიჯარე" სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ "მოიჯარე" გახდება გადახდისუუნარო, ან თუ "მოიჯარე" გადააცილებს საიჯარო ქირის გადახდის ვადას 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით;

გ) თუ "მოიჯარე" განზრას ან დაუდევრობით აუარესებს "ობიექტის" მდგომარეობას ან მნიშვნელოვნად ახიანებს მას, რითაც ზიანი ადგება "მეიჯარეს".

6.2. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მხარეები 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე აფრთხილებენ ერთმანეთს.

6.3. 6.1 პუნქტის ა), ბ), გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებში ხელშეკრულების შეწყვეტისას, "მეიჯარე" ზეპირად (ტელეფონით, კომუნიკაციის სხვა საშუალებით) ან წერილობით ატყობინებს "მოიჯარეს" ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და უნიშნავს მას ვადას (არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა) საიჯარო "ობიექტის" დასაცლელად. ამგვარი შეტყობინების შემდეგ ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად და "მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს შეწყვეტის დღისთვის არსებული ქვეშა გადასახადი და დაცალოს ობიექტი "მეიჯარის" მიერ მითითებულ ვადაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ "მოიჯარე" ფაქტიურად მაინც აგრძელებს ობიექტით სარგებლობას იგი ვალდებულია "მეიჯარეს" გადაუხადოს ფაქტიურად სარგებლობის პერიოდზე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირა.

6.4. 6.2. პუნქტით გათვალისწინებული უფლება მხარეთა მიერ არ იქნება გამოყენებული მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

7. სხვა პირობები

7.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეებს ეხსნებათ პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ, მხარეები შეთანხმდებიან ვალდებულებების შესრულების დამატებით ვადებზე.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულება ქვეშა ვალდებულებით ერცელდება ორიეე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე.

7.3 ქვეშა წარმოშობილი სადაო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება

სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ "მეიჯარის" სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

7.4 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილი არის ქ. თბილისი.

7.5 წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

7.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ამასთან ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"მეიჯარე"	"მოიჯარე"
შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "მუხერი"
მისამართი: ქ. თბილისი, 300 არაგველის №24	ს/კ 226164003
საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514	დ.ბაკურიანი, სადგურის ქ №12
ს/ს «საქართველოს ბანკი»	
ა/ა № 02 000000233446600	
დირექტორი	დირექტორი
/ნ. ყანჩაველი/	/ა.უგრელიძე/

01010011277

11001000621

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
№157
თარიღი 04 - აგვისტო 2023 წ.